Open Government Partnership

ღია მმართველობა საქართველო

რა არის ღია მმართველობის პარტნიორობა?

ღია მმართველობის პარტნიორობა (Open Government Partnership – OGP) აშშ-ისა და ბრაზილიის პრეზიდენტების ინიციატივით 2011 წელს დაფუძნდა. მისი მიზანია მთავრობათა გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და ეფექტიანობის გაზრდა. საქართველო ინიციატივას 2011 წელს შეუერთდა. დღეისათვის OGP 64 სახელმწიფოს აერთიანებს.

როგორ მუშაობს OGP?

OGP-ს მართავს მთავრობათა და არასამთავრობო ორგანიზაციათა თანაბარი რაოდენობის წარმომადგენლებისგან შემდგარი კომიტეტი. **2014 წელს პარტნიორმა სახელმწიფოებმა საქართველო OGP-ის მმართველი კომიტეტის წევრად აირჩიეს.** საქართველოს მთავრობას კომიტეტში იუსტიციის მინისტრი წარმოადგენს.

OGP-ის წევრი სახელმწიფოები სამოქალაქო საზოგადოებასთან მჭიდრო თანამშრომლობით შეიმუშავებენ ეროვნულ სამოქმედო გეგმას და წარადგენენ გეგმის შესრულების ანგარიშს.

საქართველოს სამოქმედო გეგმა

2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის ფარგლებში წარიმართა. ფორუმი ეროვნულ დონეზე ღია მმართველობის საკოორდინაციო მექანიზმია. იგი შედგება საჯარო დაწესებულებების, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციათა წარმომადგენლებისგან. 15 ქალაქში გამართული საჯარო კონსულტაციებით გეგმის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო ფართო საზოგადოებამ.

ღია მმართველობის პარტნიორობაში საქართველოს მონაწილეობას ეროვნულ დონეზე კოორდინაციას უწევს იუსტიციის სამინისტრო.

OGP-ის ფარგლებში უკვე დანერგილი სიახლეები:

- პროაქტიულად ქვეყნდება საჯარო ინფორმაცია;
- შესაძლებელია საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად მოთხოვნა;
- გაიზარდა ქონებრივი დეკლარაციის წარდგენაზე პასუხისმგებელ თანამდებობის პირთა წრე;
- შეიქმნა მოქალაქის პორტალი www.my.gov.ge.

საქართველოს 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმაში 27 ვალდებულებაა, მათ შორის:

- ინფორმაციის თავისუფლების კანონის შემუშავება;
- პეტიციების ელექტრონული სისტემის შექმნა;
- ღია მონაცემების პორტალის – www.data.gov.ge – ამოქმედება;
- საჯარო სამსახურში მიღების მიუკერძოებელი წესების შემუშავება;
- საჯარო მოხელეთა ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის შექმნა;
- ფარული მიყურადების შესახებ სასამართლო სტატისტიკის გამოქვეყნება;
- საზოგადოებრივი ცენტრების განვითარება;
- საჯარო ბიბლიოთეკების მოდერნიზება;
- საბიუჯეტო პროცესებთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირებისა და ჩართულობის მექანიზმის ჩამოყალიბება.

OGP-ის მთავარი პრინციპი საჯარო მმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობაა

გაიგე მეტი
ღია მმართველობა საქართველოს შესახებ
და ჩაერთე მიმდინარე პროცესებში!

USAID
ამერიკელი ხალხისაგან
დემოკრატიული მმართველობა
საქართველოში (G3) პროგრამა

საქართველოს
იუსტიციის
სამინისტრო

საკონტაქტო ინფორმაცია:
ქ. თბილისი, გორგასლის 24 ა;
www.justice.gov.ge
www.facebook.com/ogpgeorgia
ogpgeorgia@justice.gov.ge